ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს „გეტი“

შეფასების თარიღ(ებ)ი
15,16 ნოემბერი, 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
26 დეკემბერი, 2022 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს გეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული შესაძლებლობების საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	202388219

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	✓
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ.თბილისი
იურიდიული მისამართი	დიღმის მასივი,მე-5 კვარტალი, მე-15 კორპუსი, ბინა 30
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი,წერეთლის გამზირი N112
საფოსტო ინდექსი	0109
დაწესებულების ვებ-გვერდი	gergeti.edupage.org

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

დაწესებულების ელ-ფოსტა	ger_geti@yahoo.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	0320351574
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ლია კობაიძე-ქოიავა
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	599186701
ელ-ფოსტა	ger_geti@yahoo.com

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 05/10/2022 წლის ბრძანება MES 5 22 0001235762
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	15,16 ნოემბერი, 2022 წელი
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	თამარ მიდელაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	მაგდა ბარამაძე
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	
წევრი (სახელი, გვარი)	

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები	**მუხლი 6**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი			
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს	**მუხლი 7/**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**პუნქტი ზ)**		
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სანქციების გამჭვირვალე სისტემა			
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტი		
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1. 4.*	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორიაში ქიმიის სწავლებისათვის საჭირო მასალების არ არის განთავსებული სპეციალურ კარადაში (საცავში). კერძოდ, ქიმიური ნივთიერებები, რომლებსაც იყენებენ სხვადასხვა ცდების ჩასატარებლად, განთავსებულია ღია თაროებიან კარადაში. ოთახს აქვს ბუნებრივი განათების და განიავების საშუალება, ფანჯარაზე განთავსებულია პატარა ზომის ვენტილატორი. ლაბორატორიაში არ არის გამწოვი კარადა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		<u>რეკომენდაცია:</u> სკოლას მიეცა რეკომენდაცია ქიმიის სწავლებისთვის საჭირო მასალები განათავსოს <u>სპეციალური კარადაში (საცავში).</u> <u>ლაბორატორიაში დაამონტაჟოს გამწოვი კარადა.</u>
	2.6.3	2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 50 მოსწავლეზე მეტი მოსწავლის სწავლის შემთხვევაში სკოლას მომსახურებას უნდა უწევდეს ექიმი (საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატით რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: „პედიატრია“, „საოჯახო მედიცინა“, „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“). <u>მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე სკოლას უნდა ემსახურებოდეს სერტიფიცირებული ექიმი.</u> <u>დაწესებულებას არ ჰყავდა სერტიფიცირებული ექიმი და ექთნის პოზიციაზე ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავდა პიროვნება, რომელიც 2020 წლიდან მუშაობდა სკოლა ,,გეტში“, დამთავრებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (პედიატრის კვალიფიკაციით), მაგრამ არ ფლობდა აღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს,</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		კერძოდ, საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სერტიფიკატს რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: „პედიატრია“, „საოჯახო მედიცინა“, „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“. **რეკომენდაცია:** დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დააკმაყოფილოს განსაზღვრული მოთხოვნები და უზრუნველყოს სკოლაში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პერსონალის (ექიმის) აყვანა.
	2.7	სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია 2017 წელს დირექტორის ბრძანებით და ბუნებრივია, მასში არ არის ასახული: • საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ მოთხოვნა, რომლის მიხედვით ,,სკოლა ვალდებულია, ამ ბრძანების ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს შინაგანაწესის ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებულ წესთან შესაბამისობაში მოყვანა“ (მუხლი3.2.4) • დაწესებულების შინაგანაწესის მე-6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		მუხლით განსაზღვრულია მასწავლებლის სკოლაში მიღების წესი. აღნიშნულ მუხლში ასახული არ არის ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების მოთხოვნები , თუმც, სკოლას აღნიშნული ბრძანების მიხედვით ცალკე დოკუმენტად გაწერილი აქვს მასწავლებლის სკოლაში მიღების წესი. • დაწესებულების შინაგანაწესის მე-4 თავის მე-5 მუხლით განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის გაფორმებამდე სკოლაში კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების სია. ჩამონათვალში არ არის მოთხოვნა ცნობების შესახებ ნასამართლობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის. თუმც, აღნიშნული ცნობები თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია. • დაწესებულების შინაგანაწესის მე-5 - მე-8 თავებით რეგულირდება შრომითი ურთიერთობის პირობები. აღნიშნულ თავებში გათვალისწინებული არ არის საქართველოს ორგანულ კანონში - შრომის კოდექსში 2020 წელს შესული ცვლილებები (დეკრეტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		შვებულების,ზეგანაკვეთური სამუშაოსა და სხვა) შესახებ. **რეკომენდაცია:** დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შინაგანაწესის გადახედვისა და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით. კერძოდ, გაითვალისწინოს, საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები“ და სხვა ცვლილებები.
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.4*	შრომით ხელშეკრულებების შინაარსში წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები, თუმცა, სასურველია მათი გადახედვა. კერძოდ: საქართველოს განათლების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტო №174/ნ ბრძანების მე-13 მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე შრომითი ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, რაც მოქმედ ხელშეკრულებებში არ ფიქსირდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

		რეკომენდაცია დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გადახედოს ხელშეკრულებებს და საქართველოს განათლების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტო №174/ნ ბრძანების მე-13 მუხლის მესამე პუნქტის გათვალისწინებით შრომითი ხელშეკრულებებში შეიტანოს ცვლილება.

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	-

დაწესებულების მისია	სახელმწიფოსა და საგანმანათლებლო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის საფუძველზე ეროვნული ღირებულებების, განათლებული, თავისუფალი, მოაზროვნე პიროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა, საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარჩვევების უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ეროვნული და კულტურული ფასეულობების პატივისცემა, დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული ცნობიერების ჩამოყალიბება. სკოლა ორიენტირებულია ზოგადი განათლების თანამედროვე პრინციპებზე, სასწავლო პროცესის ხარისხზე, პედაგოგთა პროფესიონალიზმზე. ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმებიდან გამომდინარე სკოლა ზრუნავს შეუქმნას მოსწავლეს წინაპირობები ამისათვის (სწავლების ყველა საფეხურზე), რომ მან შეძლოს აირჩიოს თავისი მომავალი განვითარების გზა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მისცეს მას მაღალი ხარისხის საქმიანობის პრაქტიკული ცოდნა, უნარები და ღირებულებები,რომლებიც უზრუნველყოფენ დასაქმებას სხვადასხვა სფეროში და საზოგადოებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდის როლის გაცნობიერებას სამოქალაქო და დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებაში. ,,ცოდნა ანთებულ სანთელს ჰგავს, რომელიც მომავალს გზას უნათებს“. ,,ისწავლეთ და გაიმარჯვეთ ჩვენთან ერთად.“

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	**სტანდარტი 1.1** 1. <u>პირველ კლასში პირველი უცხოური ენა - ინგლისური ენა - ისწავლებოდა არა როგორც სავალდებულო, არამედ როგორც სავალდებულო დამატებითი საგანი;</u> წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია **გათვალისწინებულია.** პირველი კლასიდან სავალდებულოა ინგლისური ენის სწავლება. 2. <u>მეთორმეტე კლასში მათემატიკის კვირეული დატვირთვა იყო ოთხი საათი, ნაცვლად ხუთი საათისა;</u> წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია **გათვალისწინებულია.** მეთორმეტე კლასში მათემატიკის კვირეული დატვირთვაა ხუთი საათი. სკოლა,,გეტის“ 2022/2023 სასწავლო წლის საათობრივი ბადე შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (MES 6220001241, 06/10/2022)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3. <u>მეთორმეტე კლასში არჩევითი საგანი - ქიმიური ტექნოლოგიები პირველ სემესტრში ისწავლებოდა კვირაში ერთი საათი, ნაცვლად ორი საათისა.</u>

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია **გამოსწორებულია,** ვინაიდან, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით (მუხლი 54), მეთორმეტე კლასში არჩევითი საგნის კვირეული დატვირთვა პირველ სემესტრში არის კვირაში ერთი საათი,ხოლო XII კლასის მეორე სემესტრში არჩევითი საგნები არ ისწავლება. გარდა ამისა, სკოლა,,გეტის“ 2022/2023 სასწავლო წლის საათობრივი ბადე შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (MES 6220001241, 06/10/2022).

4. <u>მე-12 კლასში სასწავლო პროცესი კვირაში 3 დღე მიმდინარეობდა.</u>

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია **გათვალისწინებულია.** საგაკვეთილო ცხრილით, ვიზუალური დათვალიერებითა და მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირებით, დასტურდება,რომ მეთორმეტე კლასის სასწავლო კვირა ხუთდღიანია.

სტანდარტი 1.4

<u>შემაჯამებელ დავალებებში ტესტური დავალებების გარდა გამოიყენონ მრავალფეროვანი შემაჯამებელი სამუშაოები (კვლევა, პროექტი და სხვა);</u>

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია შემაჯამებელი დავალებებთან დაკავშირებით **გათვალისწინებულია.** შემაჯამებელი დავალების ნიმუშებითა და ანალიზის ფორმების, საგნობრივი კათედრების პორტფოლიოების გაცნობით, მოსწავლეებთან, კათედრის ხელმძღვანელებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირებით დასტურდება, რომ სკოლაში იყენებენ კომპლექსური, კონტექსტის მქონე შემაჯამებელ დავალებებს (მაგ., ესეს დაწერა, პროექტი, ლაბორატორიული კვლევის ჩატარება და სხვა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სტანდარტი 2.1.4. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში დამონტაჟდეს სველი წერტილი და გამწოვი. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია ლაბორატორიაში სველი წერტილის დამონტაჟებასთან დაკავშირებით **გათვალისწინებულია** და ლაბორატორიაში დამონტაჟებულია ერთი სველი წერტილი. რაც შეეხება გამწოვს - ლაბორატორიას აქვს ფანჯარა ბუნებრივი განათებისა და განიავებისათვის და პატარა ვენტილატორი.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 270	ექსპერტი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ საავტორიზაციო განაცხადზე დართულ დოკუმენტაციაში წარმოადგინა 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფი გავეცანით 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც შემუშავებულია შპს -,,გეტის“ დამფუძნებლისა და დირექტორის, საგნობრივი კათედრის თავმჯდომარეების თანამონაწილეობით, განხილულია 2022 წლის 02 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია დირექტორის მიერ. შპს გეტის სასკოლო - სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმისა და 2011 წლის 11 მარტის 36/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებია: • მისია; • საათობრივი ბადე; • შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა კლასების მიხედვით; • გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალი; • შეფასების პრინციპები; • ინკლუზიური განათლება; • ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიზნები და ამოცანები; • ეროვნული სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიზნები; • დამატებითი საგნის შემოტანა; • კლასში მოსწავლეთა რაოდენობა; • სადამრიგებლო პროგრამა; • საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები; • ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება; • 2022-2023 სასწავლო წლის კალენდარი; • საგანმანათლებლო რესურსებით სარგებლობის წესი. სკოლა ერთცვლიანია და სწავლების სამივე საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ, ისე გაუთვალისწინებელ დამატებით მომსახურებებს. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი ბადე წარმოადგენს ეროვნული სასწავლო გეგმის 56-ე მუხლით განსაზღვრულ საათობრივ ბადის მე-3 მოდელს, რომელიც დაწესებულებას წარდგენილი და შეთანხმებული აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან (06/10.2022 წელი, MES 622 00001241 6300, დანართი N1). პირველი უცხოური ენა არის ინგლისური ენა, რომელიც ისწავლება პირველი კლასიდან. სასკოლო საათობრივი ბადის მიხედვით გაზრდილია საათების რაოდენობა შემდეგ საგნებში: • პირველი უცხოური ენა (ინგლისური ენა) - დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხური; • კომპიუტერული ტექნოლოგიები - I კლასი; • შევიმეცნოთ სამყარო - I – II კლასები; • ლოგიკა - II- VI კლასები . მეორე უცხოურ ენად (მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წარმომადგენლებთან შეთანხმებით) მეხუთე კლასიდან ისწავლება რუსული ენა. არჩევითი საგნებიდან მე-10 კლასში ისწავლება მსოფლიო კულტურა, მე-11 და მე-12 კლასებში - საქართველოს ეთნოგრაფია. საშუალო საფეხურზე სპორტის სახეობებიდან არჩეულია მაგიდის ჩოგბურთი, ჭიდაობა, სპორტული ცეკვები. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, თუმც, მერვე-მეცხრე კლასებში შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა არ იყო განსაზღვრული საგანში ფიზიკური აღზრდა და სპორტი, <u>რომელიც სკოლამ გაითვალისწინა და ვიზიტის პერიოდშივე გამოასწორა.</u> სასკოლო სასწავლო გეგმით ასევე განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების პოლიტიკა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში, კლასებისა და საგნების მიხედვით კათედრების მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა, საგნობრივი კათედრების რაოდენობა და ფუნქციები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების სისტემა, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შეფასების სისტემის შესაბამისია. განსაზღვრულია წლიური გამოცდები საგნებისა და კლასების მიხედვით: 2022-2023სასწავლო წლის ბოლოს VII, VIII, X, XI კლასებში ჩატარდება წლიური გამოცდა 2 საგნობრივ დისციპლინაში - მათემატიკა და ინგლისური ენა, ხოლო IX, XII კლასებში - ისტორია და მათემატიკა. სკოლა მოსწავლეებს დამატებით სთავაზობს გახანგრძლივებული დღის რეჟიმით სწავლებას, ხოლო საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, საჭიროებისამებრ, დამატებით გაკვეთილებს სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. სკოლას დაწყებული აქვს მუშაობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამის კურიკულუმების (კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დავალებები) შედგენაზე. სასკოლო საზოგადოებისათვის სასკოლო სასწავლო გეგმის გაზიარება ხდება მშობელთა კრებებზე სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლების მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან საათობრივი ბადის შესახებ; • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობა 2022-2023 სასწავლო წლების საათობრივი ბადესთან დაკავშირებით; • პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი; • კათედრების 2022 წლის N1 სხდომის ოქმები; • დამრიგებლების პორტფოლიოები; • ინტერვიუ დირექციასთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს. სკოლაში მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია შემდეგი საგნობრივი კათედრები: • საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა; • ქართული ენისა და უცხო ენების კათედრა; • საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა; • ტექნიკურ მეცნიერებათა კათედრა; • სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კათედრებში გაერთიანებულია ყველა საგნის პედაგოგი და მუშაობა წარიმართება კათედრის დებულების შესაბამისად. მეორე- მეექვსე კლასებში მოსწავლეებში სააზროვნო უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით დამატებით საგნად ისწავლება ლოგიკა, ზეპირი მეტყველების კულტურის განვითარების მიზნით სკოლა დამატებით თანამშრომლობს ინგლისური წიგნის სახლთან, ვიდეომასალებისა და ექსპერიმენტების დახმარებით მოსწავლეებში სამყაროში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების აღქმის მიზნით პირველ-მეორე კლასებში დამატებით საგნად ისწავლება სამყაროს შემეცნება. საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, პოსტერები, ნახატები, ნაკეთობები, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში, სხვადასხვა სასწავლო პროექტში. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებასა და სამოქალაქო განათლებაში მე -10 კლასის მოსწავლეებთან ერთად შემუშავებულია პროექტები. სასკოლო სასწავლო გეგმაში ასევე განსაზღვრულია სადამრიგებლო პროგრამა, დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები და პრინციპები, დამრიგებლის მუშაობის მიზანი, კლასის დამრიგებლის კრიტერიუმები, რეკომენდაციები „სადამრიგებლო საათის“ განხორციელებისთვის, სადამრიგებლო საათის სპეციფიკა დაწყებით კლასებში. სსგ-ის მიხედვით დამრიგებლის კლასთან მუშაობა წარიმართება შემდეგი ფორმით: • საუბრები მოსწავლეებთან; • დისკუსიები კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით; • ვიქტორინების, ღონისძიებების, ექსკურსიებისა და ლაშქრობების ორგანიზება; • ცნობილ ადამიანებთან, საზოგადო მოღვაწეებთან და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან თუ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობა; • მოსწავლეთა მშობლებთან, საგნის პედაგოგებთან აქტიური თანამშრომლობა და ა.შ. სკოლა მოსწავლეებს ასევე სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას გახანგრძლივებული სწავლების სახით (დღის მეორე ნახევარში 18:00 საათამდე).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • კათედრების პორტფოლიო; • ინტერვიუ დირექციასთან; • ინტერვიუ მასწავლებლებთან; • ინტერვიუ მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეებს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს მოსწავლეთა მზაობიდან გამომდინარე. სკოლაში კლასები ძირითადად მცირეკონტინგენტიანია, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს ინდივიდუალურად იმუშაონ თითოეულ მოსწავლესთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეები, ინტერვიუს პროცესში აღნიშნავდნენ, რომ მასწავლებლები მათ სთავაზობენ საინტერესო და სახალისო აქტივობებს, რაც ხელს უწყობს ნებისმიერი მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმას დანართის სახით თან ახლავს ინდივიდუალური გეგმის ნიმუში და განსაზღვრულია: სსსმ მოსწავლის იდენტიფიცირების მექანიზმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ვადები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პასუხისმგებელი პირების და ამ გეგმის განხორციელების დანერგვის მონიტორინგი, სსსმ მოსწავლეთა შინ სწავლება, სსსმ მოსწავლის აკადემიური შეფასების მიღწევის შეფასების ინსტრუმენტები, სსსმ მოსწავლის გაკვეთილებზე დასწრება და გაცდენების აღრიცხვა. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე , რომელსაც აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ვერ ძლევს შესაბამისი კლასისათვის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მინიმალურ მოთხოვნებს ან/და საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციას/გაფართოებას, გარემოს ადაპტაციას, ალტერნატიულ სასწავლო გეგმას ან/და სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • ინტერვიუ ადმინისტრაციასთან; • ინტერვიუ მოსწავლეებთან; • ინტერვიუ მასწავლებლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კერძოდ, გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება (ზეპირი ან წერილობითი სახით) მოსწავლეს ეძლევა როგორც მიმდინარე საკლასო და საშინაო, ისე შემაჯამებელ დავალებებში. I-IV და V კლასის პირველ სემესტრში მოსწავლე არ ფასდება ქულებით. ამ კლასებში სემესტრისა და წლის ბოლოს, კლასის დამრიგებელი საკუთარი და სხვა მასწავლებლებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაწერს მოკლე, შემაჯამებელი წერილობით შეფასებას. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს: ა) რეკომენდაციები დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებით; ბ) ნიმუშები მოსწავლის სოციალური და ინტელექტუალური უნარების დახასიათებისათვის, თუმც, მოსწავლეთა ნამუშევრების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ გაწეული მუშაობა არ არის საკმარისი და <u>სკოლას მეტი სამუშაო აქვს განმავითარებელი შეფასების ხშირ და ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, სწავლა-სწავლების პროცესში უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს განმავითარებელ შეფასებას და ხშირად მოხდეს მისი გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით.</u> V კლასის მეორე სემესტრსა და VI-XII კლასებში მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით. ხოლო საგნებში - ”სპორტი” (V-XII კლასები), ,,საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება” (XI კლასი) და არჩევითი საგნები (X-XII კლასები) ფასდება მხოლოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ჩათვლების სისტემით (ჩაეთვალა/არ ჩაეთვალა). განმსაზღვრელი შეფასებით მოსწავლეები ფასდებიან საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალების კომპონენტში. სასკოლო სასწავლო გეგმით ასევე განსაზღვრულია: • შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა საგნებისა და კლასების მიხედვით; • შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი (ვადები და ფორმები); • საშემოდგომო გამოცდის ჩატარების ფორმა და ვადები; • სკოლის მიერ განსაზღვრული დამატებით სავალდებულო საგნების შეფასების ფორმები და სხვა. ტესტური დავალებების შემთხვევაში გათვალისწინებულია როგორც დახურული, ასევე ღია სააზროვნო ტიპის დავალებები. მასწავლებლებს წინასწარ შემუშავებული აქვთ შეფასების რუბრიკა და, როგორც ინტერვიუირებისას მოსწავლეებმა აღნიშნეს, შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები წინასწარ იციან პედაგოგებისაგან. შეფასების კრიტერიუმები და შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები წარმოდგენილია საგნობრივი კათედრების პორტფოლიოებშიც, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა; • კათედრების პორტფოლიოები; • შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები; • ინტერვიუ დირექციასთან, მასწავლებლებთან; • ინტერვიუ მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, მათი ქცევის, სკოლაში სხვადასხვა აქტივობების , სკოლის სიახლეების შესახებ მშობელთა ინფორმირების წესი,რომლის მიხედვით განსაზღვრულია: • მოსწავლის აკადემიური მოსწრების, მათი ქცევის შესახებ მშობელთა ინფორმირების წესი და საშუალებები (ტელეფონით, წერილობით, ელექტრონული და სხვა საშუალებებით, ელექტრონული ჟურნალით). • მშობელთა კრებების ჩატარებისა და მშობელთა სკოლაში გამოცხადების წესი. სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით edupage , რომელიც ხელმისაწვდომია ყველა მშობლისთვის და საშუალებას აძლევს მათ ჩართულნი იყვნენ სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში, მიიღონ მონაწილეობა სასკოლო გამოკითხვებში და ინფორმაცია სიახლეებისა და ცვლილებების თაობაზე. ამრიგად, როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე მშობლებთან და დირექციასთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ მშობლებს აქვთ საშუალება ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ინტერვიუ დირექციასთან; • ინტერვიუ მშობლებთან. • ,,შპს ,,გეტი“,კერძო სკოლის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების,მათი ქცევის,სკოლაში სხვადასხვა აქტივობების,სკოლის სიახლეების შესახებ მშობელთა ინფორმირების წესი“ (ბრძანება N 18,2021 წელი).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასკოლო შეფასების პოლიტიკა, რომლის მიზანსა და ამოცანებს წარმოადგენს როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის შეფასება. სკოლის სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგსა და ხარისხის კვლევას აწარმოებს ხარისხის მართვის მენეჯერი. შეფასების შედეგების განხილვა ხდება კათედრისა და პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. ხარისხის მართვის მენეჯერის და კათედრის ხელმძღვანელთა ანგარიშები სკოლას ეხმარება შემდეგი სასწავლო წლის პრიორიტეტული მიზნების განსაზღვრაში. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებასა და შემდგომ გაუმჯობესებას ხელს უწყობს მასწავლებელთა ურთიერთდასწრებისა და ,,ღია გაკვეთილების“ ჩატარების პრაქტიკა,სადაც მშობელს შეუძლია უშუალოდ დაესწროს გაკვეთილს და თავად შეაფასოს არსებული მდგომარეობა. მასწავლებელთა საქმიანობას სისტემატურად სწავლობს და აფასებს უშუალოდ სკოლის დირექტორი და ხარისხის მართვის მენეჯერი. 2022 წლის 2 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე განხილულია სასკოლო შეფასების ზოგადი დებულება. განსაზღვრულია შეფასების მიზნები და ამოცანები, პრინციპები, შეფასების პროცესზე უფლებამოსილი პირები და ვადები, საჭირო დოკუმენტაცია და შეფასების კრიტერიუმები სკოლაში შექმნილია შეფასებისა და ხარისხის განვითარების მონიტორინგის ჯგუფი. 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაფასებლად სკოლას გამოყენებული ჰქონდა მშობელთა ანონიმური გამოკითხვის შედეგები. გამოკითხვის შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გაანალიზებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები; • პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები; • სკოლის შინაგანაწესი; • კათედრის თავმჯდომარეების ანგარიშები; • დებულება - შპს,,გეტის“ სასკოლო შეფასება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	<u>1.4</u> სკოლას მეტი სამუშაო აქვს განმავითარებელი შეფასების ხშირ და ეფექტურ გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სკოლას მიეცა რჩევა, სწავლა-სწავლების პროცესში უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს განმავითარებელ შეფასებას და ხშირად მოხდეს მისი გამოყენება მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

2. მატერიალური რესურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,გეტი“ მდებარეობს ქალაქ თბილისში, მისამართზე: წერეთლის გამზირი N112 (დიდუბის რაიონი). ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ადასტურებს, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შენობისა და მიწის ნაკვეთის იჯარით სარგებლობის შესახებ: • შპს ,,პორტა“ - შენობის მეორე სართული, ფართი 182,62 კვ.მ. შეთანხმების გაფორმების თარიღი 14.07.2022 წელი, მოქმედების ვადა 1.08.2028. რეგისტრაციის თარიღი: 19.07.2022 წელი N882022552070 . საკადასტრო კოდი: N 01.13.05.005.025; • შპს ,,პორტა“ - შენობის მეორე სართული, ფართი 88,42 კვ.მ. მესამე სართულზე 86,61 და შენობა N2-ის მეორე სართულზე 233,03. შეთანხმების გაფორმების თარიღი 11.07.2022 წელი, მოქმედების ვადა 1.08.2028. რეგისტრაციის თარიღი: 20.07.2022 წელი N882022513097 . საკადასტრო კოდი: N 01.13.05.005.025; • შპს ,,კამარა“ - შენობა N1, მეოთხე სართული, ფართი 85,43 კვ.მ; შენობა N2 , მეორე სართულზე 200 კვ,მ შეთანხმების გაფორმების თარიღი 14.07.2022 წელი, მოქმედების ვადა 1.08.2028. რეგისტრაციის თარიღი: 20.07.2022 წელი N882022513097 . საკადასტრო კოდი: N 01.13.05.005.005 • შპს ,,კამარა“ - IV სართული, ფართი 182.62კვ.მ; შეთანხმების გაფორმების თარიღი 14.07.2022 წელი, მოქმედების ვადა 1.08.2028. რეგისტრაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თარიღი: 20.07.2022 წელი N882022552070 . საკადასტრო კოდი: 01.13.05.005.005 ყველა იჯარის ხელშეკრულება მოქმედია 2028 წლამდე. ანუ ავტორიზაციის ვადით. ამას ადასტურებს როგორც მატერიალური ხელშეკრულებები, ასევე ამონაწერები საჯარო რეესტრიდან. შენობა ხუთსართულიანია. პირველ სართულზე არის სკოლის შესასვლელი, სადაც განთავსებულია დაცვის ოთახი. მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულებზე განთავსებულია სასწავლო ოთახები, კაბინეტები, ბიბლიოთეკა, კვების ბლოკი და ა.შ.
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N112.
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.13.05.005.025;
კვ.მ.	იჯარით აღებული ფართი: 1231,24 კვ.მ
მტკიცებულებები/ინდიკატორები	1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 2. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ოთხ სართულზე განლაგებულია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის შესაბამისი ოთახები. ყველა მათგანს აქვს ბუნებრივი განთება. I სართულზე მდებარეობს დაცვის ოთახი, II სართულზე - 6 საკლასო ოთახი, 1 ექიმის ოთახი, 1 საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, III სართულზე - 5 საკლასო ოთახი, ადმინისტრაციული ოთახები (3 ოთახი), მოსწავლეებისთვის სარელაქსციო - დასასვენებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სივრცე, IV სართულზე - 7 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, ხარისხის მართვის ხელმძღვანელის ოთახი, V სართულზე - 1 საკლასო ოთახი, 1 სააქტო/სპორტული დარბაზი. 1 ბიბლითეკა, 1 კომპიუტერული ლაბორატორია. **სულ დაწესებულებაში არის 19 საკლასო ოთახი.** საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, მასწავლებლის მაგიდებით, დაფებით, სასწავლო რესურსის განსათავსებელი კარადებით. საკლასო ოთახების რაოდენობა აკმაყოფილებს სკოლის მიერ თვითშეფასების კითხვარში მოთხოვნილ მოსწავლეთა რაოდენობას (270 მოსწავლე). დაწესებულების ბალანსზეა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე მორგებული ინდივიდუალური მერხისა და სკამის კომპლექტი - 332 ერთეული და 85 - სააქტო დარბაზის სკამი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შიდა აზომვითი ნახაზი; • სასკოლო ინვენტარის (მერხები, სკამები, დაფები და სხვა) ფლობის დოკუმენტები: ✓ სასაქონლო ზედნადებები; ✓ საგადასახადო გადარიცხვის ქვითრები და მიღება-ჩაბარების აქტები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების მეხუთე სართულზე განთავსებულია 80 კვ.მ სიდიდის სპორტული დარბაზი, რომელსაც იყენებენ როგორც სპორტის გაკვეთილებზე, ასევე სხვადასხვა შემოქმედებითი ღონისძიებების დროს. ეს სივრცე საკონფერენციო დარბაზის ფუნქციასაც ასრულებს აკადემიური/შემეცნებითი სასკოლო ღონისძიებების ჩატარებისას. სკოლას ფიზიკური აღზრდისა და სპორტის გაკვეთილებისათვის შეძენილი აქვს სხვადასხვა სპორტული ინვენტარი, რომელთა ნაწილიც განთავსებულია სპორტულ დარბაზში, ნაწილი - სათავსოში: ტატამი, ტენისის მაგიდა, ბურთები (რაგბი, ფეხბურთი, კალათბურთი), ჭადრაკის დაფა, , ჰულა-ჰუპი, სახტუნაო, ტანვარჯიშისთვის შვედური კედელი, მედლები და თასები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სპორტული ინვენტარის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 2. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების მეორე სართულზე განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია შესაბამისი ინვენტარითა და ვიზუალური მასალით, სადემონსტრაციო კარადებით, სკამებით, მერხებით და მასწავლებლის მაგიდით, სადემონსტრაციო საშუალებები, კერძოდ, კრონშტეინზე დამაგრებული პროექტორი მოძრავი ეკრანით და LCD ტელევიზორით. ლაბორატორიაში არის სველი წერტილი. ოთახს აქვს ბუნებრივი განათების და განიავების საშუალება, <u>არ არის აღჭურვილი გამწოვი კარადით, ფანჯარაზე განთავსებულია პატარა</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ზომის ვენტილატორი. ლაბორატორიის კედლები აღჭურვილია სხვადასხვა თემატური პლაკატებით. თვალსაჩინოებები და მულაჟები განთავსებულია ღია თაროებიან კარადებში. გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი. იზოლირებულ კარადებში განთავსებულია ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის სწავლებისთვის საჭირო მასალები, თუმცა, რეაქტივებისათვის ლაბორატორიაში არ არის სპეციალური კარადა (საცავი). სკოლას მიეცა რეკომენდაცია ქიმიის სწავლებისთვის საჭირო მასალები განათავსოს სპეციალური კარადაში (საცავში) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში დაამონტაჟოს გამწოვი კარადა. დაწესებულების მეხუთე სართულზე ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. ლაბორატორიაში განთავსებული ინტერნეტის მუდმივ ქსელზე ჩართული 18 პერსონალური კომპიუტერი და მრავალფუნქციური პრინტერი. ლაბორატორიაში გამოკრულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესყიდვის დამდასტურებელი დოკუმენტაცია; 2. ლაბორატორიით სარგებლობის წესები; 3. ვიზუალური დათვალიერება; 4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას მიეწოდება მუდმივი წყალმომარაგება და ელექტროენერგია. კომუნალური გადასახადები ინტეგრირებულია საიჯარო ქირაში და ყოველთვიურ იჯარის გადასახადთან ერთად სკოლა იხდის კომუნალურ გადასახადებსაც (აღნიშნული შეთანხმება გაწერილია სკოლასა და მოიჯარეებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში). საკლასო ოთახებს აქვთ ბუნებრივი განათებისა და განიავების საშუალება. ცხელი წყალი რეგულირდება დამონტაჟებული წყლის გამაცხელებლებით. საკლასო ოთახები თბება ელექტრო ღუმელებით, რომლებიც დაცულია რკინის ცხაურებით. ელექტრო გამათბობელი საშუალებები განთავსებულია ყველა საკლასო ოთახსა და კაბინეტში. სკოლის ოთხ სართულზე განთავსებულია 11 ერთეული სველი წერტილი, მათ შორის, ადაპტირებული საპირფარეშო სკოლის მეორე სართულზე. არის ონკანები, ნიჟარები. სველი წერტილი მომარაგებულია თხევადი საპნითა და ხელის საშრობი ქაღალდის დისპანსერებით, თავსახურიანი ურნებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • იჯარის ხელშეკრულებები; • დენის, გაზის და წყლის გადახდის ქვითრები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან	დაწესებულების მეხუთე სართულზე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მცირე სამკითხველო დარბაზით. წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით, ბიბლიოთეკაში დაცულია 1180 ერთეული წიგნი. წიგნები წარმოდგენილია სამ ენაზე : ქართული, რუსული და ინგლისური ენები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა მხატვრული ლიტერატურა და სახელმძღვანელოები (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა X კლასის გრიფირებულ სახელმძღვანელოებზე, რადგან ამ კლასში გრიფირებული სახელმძღვანელოები მიმდინარე წელს შეიცვალა). ყველა ეგზემპლარი შესაბამისად იყო აღრიცხული, დანომრილი და განთავსებული. წიგნები დამუშავებულია შესაბამისი საბიბლიოთეკო წესით, ბიბლიოთეკაში შექმნილია მკითხველთა ინდივიდუალური ბარათები - მკითხველი ფორმულარი. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერი და მრავალფუნქციური პრინტერი. დაწესებულებას შემუშავებული და გამოკრული აქვს თვალსაჩინო ადგილზე ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ და ბიბლიოთეკის დებულება (რომელიც დამტკიცებულია 2017 წლის 4 სექტემბერს).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბიბლიოთეკარის ხელშეკრულება; • წიგნების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები: მიღება-ჩაბარების აქტები, შესყიდვისა და ჩუქების დოკუმენტები; • ვიზუალური დათვალიერება; • ინტერვიუ ბიბლიოთეკართან; • დოკუმენტი - ,,ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“; • ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი; • მკითხველთა ფორმულარები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ამჟამად, შპს ,,გეტში" არ ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა სკოლას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა განათლებისათვის შესაბამისი გარემო. სკოლის შესასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი. სკოლის კიბეებზე გადასაადგილებლად, დაწესებულებას დამზადებული აქვს ხის მოძრავი პანდუსები. სკოლის მეორე სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება; 2. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს ვებგვერდი: www.gergeti-geti.ge/ ვებგვერდზე განთავსებულია დაწესებულების მისია, შეთავაზებული საგანმანათლებლო სერვისების ჩამონათვალი, საგაკვეთილო ცხრილი, სასწავლო წლის კალენდარი, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების მიხედვით, სკოლის ხარისხის მართვის დოკუმენტაცია, განვითარების სტრატეგიული გეგმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულება ასევე სარგებლობს საკუთარი გვერდით სოციალურ ქსელში - ,,სკოლა გერგეტი“. ინფორმაციებს სიახლეებისა და მოსწავლეთა მიღწევების შესახებ მშობელთა ინფორმირებისა და მათთან უწყვეტი კომუნიკაციის მიზნით, დაწესებულება ასევე იყენებს ელექტრონული ჟურნალის სისტემას “EDUPAGE”. სკოლა უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით, აქვს კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა საჭირო კომპიუტერული ტექნიკა. პერსონალური კომპიუტერი - 23 ერთეული; ლეპტოპი - 3 ერთეული; პროექტორი - 3 ერთეული; პროექტორის ეკრანი - 2 ერთეული; ტელევიზორი - 3ერთეული; პრინტერი- 2 ერთეული; მულტიფუნქციური პრინტერი (კომბაინი) – 5 ერთეული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ი.მ. გიორგი სამხარაძესთან გაფორმებული დომენის ხელშეკრულება N N1216 31.08.2022 2. ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 3. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	სკოლაში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულ ყველა ცეცხლმაქრზე დატანილია გადამუხტვისა და მოქმედების ვადები. შემუშავებულია ხანძრის გაჩენის შემთხვევაში ადამიანთა უსაფრთხოებისა და სწრაფი ევაკუაციის უზრუნველსაყოფად სკოლის პერსონალის მოქმედების ინსტრუქცია. სკოლის არ აქვს საევაკუაციო გასასვლელი და სახანძრო კიბე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ცეცხლმაქრის დატენვის საგადახდო დავალება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც შესრულებულია პასუხისმგებელი ორგანოს მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საევაკუაციო გეგმები; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას მეორე სართულზე მოწყობილი აქვს სამედიცინო ოთახი, რომელშიც განთავსებულია ონკანი, პაციენტის გასასინჯი ტახტი, საკაცე და სხვა სამედიცინო ინვენტარი, სამედიცინო ოთახის პარამეტრები შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ოთახის სივრცე 12 კვ.მ-ზე მეტია, ინახება შესაბამისი მედიკამენტები, საზომი ხელსაწყოები და სამედიცინო ჩანთა. თუმცა, სრულად არ არის აღჭურვილი წესში განსაზღვრული სამედიცინო ინვენტარით. კერძოდ, არ იყო წარმოდგენილი სტანდარტული საკაცე და პაციენტის გასასინჯი ტახტი. <u>დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაციები და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და შესაბამისი ინვენტარი განათავსა სამედიცინო კაბინეტში.</u> სკოლის დირექტორის 29.09.2020 წლის N35 ბრძანებით ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“ განსაზღვრულია თუ როგორ მოქმედებს სკოლა პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აუცილებლობის შემთხვევაში. სამედიცინო კაბინეტში არსებული დოკუმენტაცია შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ბრძანების მე-6 მუხლის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში 50 მოსწავლეზე მეტი მოსწავლის სწავლის შემთხვევაში სკოლას მომსახურებას უნდა უწევდეს ექიმი (საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სერტიფიკატით რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: „პედიატრია“, „საოჯახო მედიცინა“, „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“). სკოლას მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე უნდა ემსახურებოდეს სერტიფიცირებული ექიმი. ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებას არ ჰყადა სერტიფიცირებული ექიმი და ექთნის პოზიციაზე ხელშეკრულება გაფორმებული იყო პიროვნებასთან, რომელიც 2020 წლიდან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მუშაობს სკოლა ,,გეტში“, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მინიჭებული აქვს პედიატრის კვალიფიკაცია, მაგრამ არ ფლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კერძოდ, საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სერტიფიკატს რომელიმე შემდეგ სპეციალობაში: „პედიატრია“, „საოჯახო მედიცინა“, „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია დააკმაყოფილოს 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნები და უზრუნველყოს სკოლაში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამედიცინო პერსონალის (ექიმის) აყვანა. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა სკოლის დირექტორის 15.11.2022 წლის N36/ძ ბრძანება ,,შპს გეტი- კერძო სკოლაში ექიმის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის და მისი ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის შექმნის/გასაუბრების თარიღის განსაზღვრის შესახებ“, რომლითაც დგინდება, რომ სკოლამ გამოაცხადა კონკურსი ექიმის თანამდებობაზე .
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის დირექტორის 29.12.2021 წლის N44 ბრძანება; • შპს ,, გეტის” შინაგანაწესი; • შრომის უსაფრთხოების პოლიტიკისა და რისკების მართვის დოკუმენტი; • ხელშეკრულებები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების წევრების პასუხისმგებლობები, დისციპლინური წარმოების წესი, წახალისებისა და დისციპლინური გადაცდომის დროს რეაგირების ფორმები. დაწესებულებას სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით შემუშავებული აქვს სკოლის დირექტორის 29.12.2021 წლის N44 ბრძანებით დამტკიცებული ,,შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა და რისკების მართვის“ დოკუმენტი, რომელიც 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, შეთანხმებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ იყო შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ მიხედვით ,, სკოლა ვალდებულია: **ამ ბრძანების ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს შინაგანაწესის ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებულ წესთან შესაბამისობაში მოყვანა და ინფორმაციის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოსთვის-რესურსცენტრისათვის წარდგენა.“ (მუხლი3.2.4)** ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში , **სკოლამ წარმოადგინა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>**საგანმანათლებლო რესურსცენტრში გაგზავნილი 16.11.2022 წლის კორესპონდენცია N2-38,**</u> <u>სადაც აღნიშნული დოკუმენტის შეთანხმების თაობაზე ითხოვს შუამავლობას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.</u> სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და საგანგებო სიტუაციების დროს გასატარებელი ღონისძიებების ნუსხა“. დაწესებულებაში დასაქმებულია დაცვა/ უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც მეთვალყურეობას უწევს წესრიგის დაცვას, მოსწავლეთა გადაადგილებას, ვიზიტორთა სკოლის ტერიტორიაზე შემოსვლას, აკონტროლებს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემებს,
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის დირექტორის 29.12.2021 წლის N44 ბრძანება; • შპს გეტის შინაგანაწესი; • შრომის უსაფრთხოების პოლიტიკისა და რისკების მართვის დოკუმენტი; • ხელშეკრულებები; • დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს გეტის აქვს „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. შენობაში დამონტაჟებულია 20 ვიდეო-კამერა, სკოლის მთავარ შესასვლელთან - 1 გარე კამერა, ერთი შიდა კამერა, რომელიც აკონტროლებს უშუალოდ შესასვლელ კარს, ყველა სართულზე, ორ-ორი კამერა , კიბის უჯრედებში 5 კამერა, სარელაქსაციო სივრცეში ერთი კამერა, კაბინეტების შესასვლელების გასაკონტროლებლად 4 კამერა. კამერებით გადაცემული კადრები უხარვეზოდ აისახება დირექტორის ოთახში განთავსებულ მონიტორზე და ასევე პირველ სართულზე განთავსებულ დაცვის ოთახში განთავსებულ მონიტორზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუკმენტაცია; • ვიზუალური დათალიერება; • დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლამ წარმოადგინა წესდება 2007 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნების შესახებ. წესდებაში შეტანილია ცვლილება 29.12.2022 წელს (ცვლილების შეტანის შესახებ ბრძანება N43), რეგისტრაციის რეკვიზიტები: NB22087214 12.07.2022 წელი. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება თანამშრომელთა მიღებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და დათხოვნის წესები, მოსწავლისა და მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის, თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები, დისციპლინური დარღვევები და სახდელები, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის წახალისების ფორმები და სხვა. დაწესებულების შინაგანაწესში (მუხლი1.1) ვკითხულობთ, რომ დოკუმენტი ,, შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სკოლისთვის, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას. “ სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია 2017 წელს დირექტორის ბრძანებით და ბუნებრივია, მასში არ არის ასახული: • საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ მოთხოვნა, რომლის მიხედვით ,,სკოლა ვალდებულია, ამ ბრძანების ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში უზრუნველყოს შინაგანაწესის ამ ბრძანების პირველი მუხლით გათვალისწინებულ წესთან შესაბამისობაში მოყვანა“ (მუხლი3.2.4) • დაწესებულების შინაგანაწესის მე-6 მუხლით განსაზღვრულია მასწავლებლის სკოლაში მიღების წესი. აღნიშნულ მუხლში ასახული არ არის ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების მოთხოვნები (თუმც, სკოლას აღნიშნული ბრძანების მიხედვით ცალკე დოკუმენტად გაწერილი აქვს მასწავლებლის სკოლაში მიღების წესი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• დაწესებულების შინაგანაწესის მე-4 თავის მე-5 მუხლით განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის გაფორმებამდე სკოლაში კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების სია. ჩამონათვალში არ არის მოთხოვნა ცნობების შესახებ ნასამართლობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის (თუმც, აღნიშნული ცნობები თანამშრომელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია). • დაწესებულების შინაგანაწესის მე-5 - მე-8 თავები არეგულირებს შრომითი ურთიერთობის პირობებს. აღნიშნულ თავებში გათვალისწინებული არ არის საქართველოს ორგანულ კანონში - შრომის კოდექსში 2020 წელს შესული ცვლილებები (დეკრეტული შვებულების,ზეგანაკვეთური სამუშაოსა და სხვა) შესახებ. **დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გადახედოს შინაგანაწესს და შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები.** საქმიანობის ეფექტურად დაგეგმვისა და წარმართვისათვის, დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,გეტის“ შინაგანაწესი; • შპს ,,გეტის“ წესდება (12.07.2022) • შპს ,,გეტის“ მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი; • დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. საკუთარი შესაძლებლობების გაანალიზების, საქმიანი გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), დეკლარირებული მისიისა და კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების ფარგლებში, გრძელვადიან სამოქმედო გეგმაში (2022-2028) დაწესებულებას გამოკვეთილი აქვს ხუთი პრიორიტეტი: 1. სწავლა-სწავლება; 2. ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება; 3. სკოლის მენეჯმენტი; 4. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; 5. პარტნიორული ურთიერთობები. თითოეული სტრატეგიული მიმართულება აერთიანებს რამდენიმე სტრატეგიულ მიზანსა და ქვე-ამოცანას. დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. 2022-2023 სასწავლო წლის სკოლის სამუშაო გეგმა მოიცავს შემდეგ საკითხებს: • სკოლის საკანონმდებლო ბაზის შექმნა; • მოსწავლეთათვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლების მიცემა; • სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება; • სკოლის მმართველობა; • უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა; • მისიის შესაბამისი ადამიანური და ტექნიკური რესურსით სკოლის უზრუნველყოფა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სკოლის თვითშეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება; • მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე ზრუნვა; • მშობელთა ჩართულობა. მშობელსა და სკოლას შორის თანამშრომლობის გაზრდა; • მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება; • მატერიალური რესურსის გაუმჯობესება. როგორც გრძელვადიანი, ისე ერთწლიანი სამოქმედო გეგმა აზუსტებს განსახორციელებელ აქტივობებს, განხორციელების ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ანკეტები/კითხვარები, თუმც, ვერ წარმოადგინა გასული წლის გამოკითხვის, ანკეტირებების და კვლევების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სასურველია, იკვეთებოდეს სასკოლო საზოგადოების უფროა აქტიური ჩართულობა სტრატეგიული მიზნებისა და და პრიორიტეტების შემუშავების პროცესში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ,,გეტის“ სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი გეგმა; 2. შპს ,,გეტის“ განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმები (2022-2023 დან 2027-2028 სასწ. წლის ჩათვლით); 3. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ,,გეტში“ კანონმდებლობის სრული დაცვით, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი საქმისწარმოების წესის მიხედვით მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. დოკუმენტში განსაზღვრულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლის საქმისწარმოების ერთიანი სისტემის ორგანიზების წესი, დოკუმენტებზე მუშაობის (აღრიცხვა მოძრაობა, გაფორმება) წესი, დირექტორის ბრძანებების, ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოების წესი. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა როგორც ბრძანებების, ისე კორესპონდენციების სარეგისტრაციო ჟურნალები. შექმნილია ოქმების, შემოსული და გასული კორესპონდენციების რეგისტრაციის ჟურნალები და სპეციალური საქაღალდეები. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია და დამოწმებულია დირექტორის მიერ. შემუშავებულია სპეციალური საქმიანი ბლანკები, რომლებზეც გამოსახულია სკოლის ლოგო, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლის ოფიციალური წერილები გაფორმებულია სატიტულო ფურცელზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული ერთიანი საქმისწარმოების დებულება; • შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი / საქაღალდე; • გასული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი / საქაღალდე; • ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი / საქაღალდე; • თანამშრომელთა ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი / საქაღალდე; • მშობელთა ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი / საქაღალდე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	2.8 ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ანკეტები/კითხვარები, თუმც, ვერ წარმოადგინა გასული წლის გამოკითხვის, ანკეტირებების და კვლევების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სასურველია, იკვეთებოდეს სასკოლო საზოგადოების უფროა აქტიური ჩართულობა სტრატეგიული მიზნებისა და და პრიორიტეტების შემუშავების პროცესში.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის საშტატო განრიგი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 01/10/2022 წელს მოიცავს დირექციას, პედაგოგიურ პერსონალსა და დამრიგებლებს, ადმინისტრაციას და დამხმარე პერსონალს. მართვის საინფორმაციო სისტემის e-school - ის მიხედვით სკოლაში დასაქმებულია 50 პირი, მათ შორის: 1 გენერალური დირექტორი, 1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღმასრულებელი დირექტორი, 1 დირექტორის მოადგილე, 1 მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, 1ხარისხის მართვის მენეჯერი, 1 ბუღალტერი, 1 საქმისმწარმოებელი, 1 ბიბლიოთეკარი, 1 ექთანი, 2 დამლაგებელი, 1 დაცვა, 3 აღმზრდელი, 35 მასწავლებელი. სკოლაში დასაქმებული პერსონალის კომპეტენცია, საქმიანობის წესი, ფუნქციები განისაზღვრება სკოლის წესდებით, შინაგანაწესით და თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით. მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა შეესაბამება საათობრივ ბადეს. სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მართვის საინფორმაციო სისტემა e-school; • სკოლის წესდება; • სკოლის შინაგანაწესი; • თანამშრომელთა ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	35
მოწვეული/მაძიებელი	4
პრაქტიკოსი მასწავლებლი	0
უფროსი მასწავლებლი	22
წამყვანი მასწავლებლი	0
მენტორის სტატუსი	0
სტატუსის გარეშე	4

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც ადგენს სკოლაში მასწავლებლის/მასწავლებლობის მაძიებლის საქმიანობის დაწყების, კონკურსის ჩატარების წესს, პირობებს, ეტაპებს, საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესსა და უფლებამოსილებებს. აღნიშნული წესი შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის''მოთხოვნებთან. სკოლას ყველა თანამშრომელი აყვანილი ჰყავს დადგენილი რეგულაციების გათვალისწინებით. ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1^2 პუნქტით და 33^1 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები ცნობებთან დაკავშირებით გათვალისწინებულია და წარმოდგენილია სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების პირად საქმეებში. სკოლა მასწავლებელთა შერჩევისას იცავს ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი; • პირადი საქმეები; • teacherjobs.ge; • საკონკურსო კომისიის ოქმები; • ბრძანებები კომისიის შექმნაზე; • ინტერვიუ მასწავლებლებთან; • ინტერვიუ დირექციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	თანამშრომელთა შერჩევა, მიღება და გათავისუფლება რეგულირდება შინაგანაწესით და წესდებით. სკოლის მასწავლებლები სამუშაოზე მიიღებიან კონკურსის გზით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად, ხოლო სხვა თანამშრომლები დირექტორთან გასაუბრების გზით ან დირექტორის გადაწყვეტილებით - კონკურსის გზით. შერჩეულ კანდიდატთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. რომლის შეწყვეტის წესიც რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის“ 48-ე მუხლისა და სკოლის შინაგანაწესის მე-8 თავის შესაბამისად. სკოლაში მოქმედებს წახალისებისა და სანქციების სისტემა. რომელიც განისაზღვრება შინაგანაწესის მე-9 თავის შესაბამისად. ამრიგად, სკოლის მიერ განსაზღვრული თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების სისტემა გამჭვირვალე სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შინაგანაწესი; • მასწავლებელთა ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი; • საკონკურსო კომისიის ოქმები; • www.pedagogi.ge/www.teacherjobs.ge • ბრძანებები (კონკურსის გამოცხადებაზე, საკონკურსო კომისიის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შექმნაზე და სხვა); • ინტერვიუ მასწავლებლებთან; • ინტერვიუ დირექციასთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დასაქმებულ ყველა პირთან გაფორმებულია შრომითი ან მომსახურების ხელშეკრულება. პედაგოგებთან, რომლებსაც არ აქვთ სტატუსი, გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები იმ პირობით, რომ აღნიშნული მასწავლებლები ორი წლის ვადაში დაადასტურებენ საგნობრივ კომპეტენციას და/ან გაივლიან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას. შრომით ხელშეკრულებების შინაარსში წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები, თუმცა, სასურველია მათი გადახედვა. კერძოდ: საქართველოს განათლების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტო №174/ნ ბრძანების მე-13 მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე შრომითი ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, რაც მოქმედ ხელშეკრულებებში არ ფიქსირდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები. ,,შპს „გეტი"-კერძო სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პროგრამა", შემუშავებულია სკოლის აღმასრულებელი და გენერალური დირექტორების მიერ, შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან და დამტკიცებულია სკოლის გენერალური დირექტორის მიერ, პროგრამაში გაწერილია შესასრულებელი ამოცანები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები და ვადები. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დასაქმებულებს აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგებისა და აქტივობების თაობაზე, სკოლის მიერ ასევე წარმოდგენილია პროფესიული განვითარების პროგრამის მონიტორინგის შედეგები, დადასტურებული ხელმოწერებით და გაკვეთილებზე დასწრების ანგარიშები. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (მტკიცებულებებში) ასახულია მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის სხვა მასალებიც: ხარისხის მართვის მენეჯერს წარმოდგენილი აქვს მასწავლებლებთან ჩატარებული სამუშაო შეხვედრების წლიური ანგარიში, მასწავლებელთა სერტიფიკატები და სხვა. სასურველია, ,,შპს ,,გეტის" - კერძო სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პროგრამაში" მკაფიოდ გაიწეროს ადამიანურ რესურსების მართვის სტრატეგიები პროფესიული განვითარების მიზნით, როგორც მასწავლებლების, ასევე სკოლის სხვა თანამშრომლებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ,,შპს „გეტი"-კერძო სკოლის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების პროგრამა", 2. დირექტორის ანგარიში; 3. სკოლის დირექციასთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს გეტის სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული ინტერვიუებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით, მოსწავლეთა ნაშრომებისა და პროექტების გაცნობით დადგინდა, რომ სკოლაში არის ჯანსაღ თანამშრომლობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემო. მშობლები კმაყოფილებას გამოთქვამენ სკოლის მიერ გაწეულ საგანმანათლებლო სერვისებთან დაკავშირებით და აღნიშნავენ, რომ გარდა ხარისხიანი სასწავლო პროცესისა, აქვთ სიმშვიდის განცდა იმ ფაქტთან მიმართებით, რომ მოსწავლეები ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში ატარებენ დღის მნიშვნელოვან ნაწილს. მშობლები სრულ ნდობას უცხადებენ სკოლის პერსონალსა და მასწავლებლებს; მიაჩნიათ, რომ სკოლა სერიოზულად ეკიდება ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხს, რაც მათი შვილების ჯანსაღ განვითარებას და აკადემიურ წინსვლას უკავშირდება. მოსწავლეები ღიად საუბრობენ სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლობის შესახებ. აღნიშნავენ, რომ სკოლაში ბევრი საინტერესო აქტივობა ხორციელდებოდა პანდემიის დაწყებამდე, და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მიუხედავად გარკვეული შეფერხებისა, ახლა ისევ აქტიურად ერთვებიან საკლასო თუ კლასგარეშე ღონისძიებებში. სასკოლო საზოგადოება ერთხმად გამოთქვამს სურვილს, დაიძლიოს სირთულეები და სკოლის შემცირებული კონტინგენტი კვლავ გაიზარდოს. ამ წინააღმდეგობის გადალახვაში იგრძნობა მასწავლებლების, ადმინისტრაციისა და მშობლების ენთუზიაზმი და ერთმანეთის მხარდაჭერა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრება; 2. დამრიგებლებისა და მასწავლებლების პორტფოლიოები; 3. სასკოლო აქტივობების ჩამონათვალი 4. ვიზუალური მასალა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაიის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

- დანართი 1. წერილი დიდუბე - ჩუღურეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს (წერილი N 22, 01/08/2022) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის წერილი (MES 6220001241630, 06/10/2022). გვერდების რაოდენობა 42 (ორმოცდაორი).

(შევსების ადგილი) თბილისი
თარიღი 26.12.2022

გვერდების რაოდენობა 59(ორმოცდაცხრამეტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა. თ. მიდელაშვილი თამარ მიდელაშვილი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: მაგდა ბარამიძე

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.